კონფიდენციალურობის პოლიტიკა

შპს “ელექტრა ფეი” არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ორგანიზაცია (შემდგომში - “კომპანია”), რომელიც ახორციელებს საგადახდო მომსახურებას და ამ მიზნით გავლილი აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამისი რეგისტრაციის პროცედურა.

საიდენტიფიკაციო კოდი: 402092846

მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ მუზაშვილის ქუჩა, N5, ბინა N10

საკონტაქტო ნომერი:+995 551 17 33 55

ელ. ფოსტა: info@electrapay.ge

ვებ-გვერდი: https://electrapay.ge

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

- შპს “კოსი- კონცეფთ ოფ სეიფთი” (ს/კ 405351239)
- ელ-ფოსტა: anatavkhelidze@safedata.ge

მუხლი 1. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

1.1. შპს „ელექტრა ფეი“-ს კონფიდენციალურობის პოლიტიკა (შემდგომში - “პოლიტიკა”) განსაზღვრავს კომპანიის მომხარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებს, ძირითად პირობებსა და მათი შენახვის წესს მომხმარებელთა კონფიდენციალურობისა და ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვის მიზნით.

მუხლი 2. დოკუმენტში გამოყენებული ტერმინების განმარტება

2.1.**პერსონალური მონაცემი -** ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ და არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით,

გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

2.2.**მონაცემთა დამუშავება -** მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

2.3.**კომპანია -** მონაცემთა დამმუშავებელი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, მეთოდებს, ფორმებს, ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომებს, ასევე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზაციის გზებს;

2.4.**მონაცემთა სუბიქტი -** ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

2.5.**მონაცემთა სუბიექტის თანხმობა -** მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

2.6.**დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი -** ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

2.7.**დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი -** ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით.

2.8.**მონაცემთა მიმღები -** ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა;

2.9.**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი -** დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს;

2.10.**პირდაპირი მარკეტინგი -** ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს შესახებ.

2.11.**ინციდენტი -** მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;

2.12. **პროფაილინგი -** მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესურლების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამტოფელს ან გადაადგილებას.

მუხლი 3. რა მონაცემებს ვამუშავებთ

- სახელი და გვარი
- საიდენტიფიკაციო კოდი
- პირადი ნომერი
- მისამართი
- საკონტაქტო ინფორმაცია
- საბანკო ანგარიშის ნომერი
- საკონტაქტო პირი და მისი რეკვიზიტები
- არაპირადი მონაცემები, რომლებიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს
- არაპირადი მონაცემები მოიცავს:
    - URL
    - Web Browser
    - Cookies
    - Pixel
    - IP Address

მუხლი 4. მონაცემთა დამუშავების მიზნები

4.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები გამომდინარეობს კომპანიის საქმიანობის სფეროდან და დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან, უსაფრთხოების ზომების დაცვასთან და სხვა დასახული მიზნების მიღწევასთან.

4.2. მონაცემთა დამუშავება ხდება შემდეგი მიზნებით:

- პრევენციული ღონისძიებების განხორციელების (მათ შორის ელექტრონულად) მოთხოვნათა დაცვა;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა;
- "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დაცვა;
- ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნებისთვის, იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთობენ მომხმარებლები კომპანიის ვებ-გვერდთან;
- მომხმარებლებისთვის სპეციალური შეთავაზებებისა და მარკეტინგის მიზნებისთვის;
- მომხმარებლის მიერ კომპანიისთვის მიწოდებული საკონტაქტო რეკვიზიტებზე კომპანიის მიერ შეტყობინებების გაგზავნის მიზნით;
- მომსახურების გაუქმჯობესების მიზნით, იმის შესასწავლად, თუ როგორ იყენებენ მომხმარებლები კომპანიის მომსახურებას;
- უსაფრთხოების დაცვისთვის.

მუხლი 5. მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები

5.1. კომპანია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ღირსების პატივისცემით.

5.2. პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის და არ მუშავდება ამ მიზნებთან შეუთავსებელი ფორმით.

5.3. პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით და იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად (მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი).

5.4. კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოპოვებული და დამუშავებული მონაცემები იყოს ზუსტი, განახლებული და საჭიროების შემთხვევაში დროულად შესწორებული. არაზუსტი ან არასრული მონაცემები გასწორდება, წაიშლება ან განადგურდება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.

5.5. პერსონალური მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად ან კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის

განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მონაცემები წაიშლება, განადგურდება ან ანონიმიზდება უსაფრთხო მეთოდით.

5.6. კომპანია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებით, რაც მოიცავს მონაცემთა დაცვას უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან, დაზიანებისგან ან გამჟღავნებისგან.

5.7. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება შესაბამის სამართლებრივ საფუძველზე, მათ შორის:

- ხელშეკრულების შესრულების მიზნით;
- კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით;
- კომპანიის ლეგიტიმური ინტერესის საფუძველზე;
- მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტი სარგებლობს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებებით, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

6.1. **წვდომის უფლება** - მიიღოს ინფორმაცია, თუ რა პერსონალური მონაცემები მუშავდება და რა მიზნით, მათ შორის ინფორმაცია ვიდეო მონიტორინგის განმახორციელებელი პირის, მონიტორინგის მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ.

6.2. **შესწორების/განახლების უფლება** - მოითხოვოს არაზუსტი ან არასრული მონაცემების შესწორება ან განახლება;

6.3. **წაშლის უფლება** („დავიწყების უფლება") - მოითხოვოს მონაცემების წაშლა, თუ მათი დამუშავება აღარ არის საჭირო მიზნის მისაღწევად ან თანხმობა გაუქმებულია, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა;

6.4. **დამუშავების შეზღუდვის უფლება** - მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

6.5. **თანხმობის გამოხმობის (უარის თქმის) უფლება** - გამოიხმოს გაცემული თანხმობა.

6.6. უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

მუხლი 7. კომპანიის მიერ მონაცემების გასწორების, განახლების, დამატების, წაშლისა და განადგურების წესი

7.1. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, წაშლა ან განადგურება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის დარღვევით;

7.2. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაცია საკუთარი პერსონალური მონაცემების გასწორების, განახლების, დამატების, წაშლის ან განადგურების შესახებ;

7.3. კომპანია ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნიდან 10 (ათ) კალენდარულ დღეში გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები ან მომხმარებელს აცნობოს უარისა და უარის თქმის საფუძვლის შესახებ;

7.4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია თავად ჩათვლის, რომ მის ხელთ არსებული მომხმარებლის მონაცემები არასრული ან არაზუსტია, კომპანია ვალდებულია, გაასწოროს ან განაახლოს მონაცემები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მომხმარებელს.

მუხლი 8. მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით

8.1. მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით შეიძლება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში;

8.2. მონაცემთა სუბიექტის სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით სხვა მონაცემების დამუშავებისთვის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;

8.3. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიხმოს თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების შესახებ;

8.4. კომპანია ვალდებულია შეწყვიტოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

8.5. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რომლითად პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება;

8.6. კომპანია ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა და თანხმობის გამოხმობა აღრიცხოს და შეინახოს პირდაპირი მარკეტინგის

განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.

მუხლი 9. მონაცემთა გადაცემა

9.1. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებლის პერსონალური და არაპირადი ინფორმაცია გადასცეს მის საკუთრებაში არსებულ იურიდიულ პირებს, შვილობილ კომპანიებს, ფილიალებს, კონტრაქტორებს, მომსახურების მიმწოდებლებს, დასაქმებულებსა და წარმომადგენლებს, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ვებ-გვერდით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის, სისტემის ფუნქციონირების, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

9.2. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და შესაბამისი მონაცემთა დაცვის მოთხოვნების დაცვით. მესამე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება შესაბამისი ხელშეკრულებით ან სამართლებრივი საფუძვლით.

9.3. მომხმარებელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ავტორიზაციის მონაცემების (მათ შორის მომხმარებლის სახელი და პაროლი) კონფიდენციალურობა. ვებ-გვერდზე სესიის დაუხურველობის შემთხვევაში, მომხმარებლის ანგარიშზე წვდომა შესაძლოა განხორციელდეს მესამე პირის მიერ იმ მოწყობილობაზე, საიდანაც განხორციელდა ავტორიზაცია. კომპანია იღებს გონივრულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა დასაცავად, თუმცა არ აგებს პასუხს მომხმარებლის დაუდევრობით გამოწვეულ ზიანზე.

9.4. კომპანია პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დაცვაზე კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. კომპანია არ აგებს პასუხს მესამე პირების ისეთი უკანონო ქმედებების შედეგად დამდგარ ზიანზე, რომლებიც სცდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს და მიუხედავად გონივრული უსაფრთხოების ზომების მიღებისა, შეუძლებელი იყო მათი პრევენცია.

მუხლი 10. მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის ვადა

10.1. კომპანია მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს იმ ვადის განმავლობაში, რაც საჭიროა ამ ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნის მიზნის მისაღწევად;

10.2.მონაცემთა შენახვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში. იმ მონაცემების შემთხვევაში, რომელთათვისაც კონკრეტული შენახვის ვადა განსაზღვრული არ არის კანონმდებლობით, მონაცემები ინახება მხოლოდ იმ დროით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად. ვადის გასვლის შემდეგ მონაცემები განადგურდება შეუქცევადი გზით.

10.3. კომპანია მომხმარებლის რეგისტრაციისა და მომსახურების პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას შეინახავს შემდეგი ვადით:

- მომხმარებლის, მისი სახელით მოქმედი პირის, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირისა და ბენეფიციარი მესაკუთრ(ეებ)ის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის მიზნით ამ დოკუმენტის მიხედვით მოპოვებული მონაცემები, ინფორმაცია ან/და დოკუმენტები ინახება საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტიდან ან ერთჯერადი გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი არ არის აღნიშნული ვადის გაგრძელება;
- საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში შესრულებული გარიგებების შესახებ დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ მონაცემები ინახება საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტიდან ან ერთჯერადი გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში;
- კომპანიის მიერ საეჭვოდ მიჩნეულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ასევე ანალიზის შედეგები ინახება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში/

მუხლი 11. Cookies (მზა ჩანაწერები) პოლიტიკა

11.1. “მზა ჩანაწერები” (Cookies) არის მცირე ზომის ტექსტური ფაილი, რომელიც ინახება თქვენს მოწყობილობაში, როდესაც სტუმრობთ შპს „ელექტრა ფეი“-ს ვებ გვერდს.

11.2. “მზა ჩანაწერების” მეშვეობით შეიძლება დამუშავდეს როგორც არაპირადი, ისე გარკვეულ შემთხვევებში პერსონალური მონაცემებიც (მაგ. IP მისამართი), რომელიც გამოიყენება ვებ-გვერდის ფუნქციონირების, უსაფრთხოებისა და ანალიტიკური მიზნებისთვის.

11.3. აუცილებელი “მზა ჩანაწერების” გამოყენება უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ ვებ.გვერდით სარგებლობის შესაძლებლობას, ხოლო სხვა ტიპის “მზა ჩანაწერები” ამარტივებს ვებ.გვერდზე მუშაობას;

11.4. მომხმარებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს მზა ჩანაწერების გამოყენებაზე თანხმობა;

11.5.თუ მომხარებელი გადაწყვეტს მზა ჩანაწერების დაბლოკვას ან წაშლას, გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება შეეზღუდოს ვებგვერდით გათვალისწინებული ზოგიერთი მომსახურების სრულფასოვნად მიღება ან ვებგვერდის ფუნქციონალიზაციის ნაწილი;

11.6.სესიის მზა ჩანაწერების დაბლოკვის შემთხვევაში, შესაძლოა, ვებგვერდის ძირითადი ფუნქციებიც აღარ იყოს მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი.

მუხლი 12. მონაცემთა უსაფრთხოების ზომები

12.1. კომპანია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომების გამოყენებით. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ უფლებამოსილ თანამშრომლებს, რომელთათვისაც ეს აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის

12.2. კომპანია უზრუნველყოფს მონაცემთა უნებართვო წვდომის, დაკარგვის, განადგურების, შეცვლის ან უკანონო გამჟღავნების თავიდან აცილებას და ინციდენტის შემთხვევაში მოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

12.3. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში კომპანია იმოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში აცნობებს მონაცემთა სუბიექტს და შესაბამის საზედამხედველო ორგანოს.

მუხლი 13. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

13.1. კომპანიას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობას.

13.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

- აკნტროლებს კომპანიაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს;
- საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასების პროცესში;
- უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებასა და გადამზადებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე;

მუხლი 14. ავტომატიზებული დამუშავება და პროფაილინგი

14.1. კომპანია შეიძლება იყენებდეს ავტომატიზებულ დამუშავებას, მათ შორის ტრანზაქციების მონიტორინგისა და რისკის შეფასების მიზნით.

14.2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს;

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

15.1. ვებ-გვერდის სარგებლობით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობით დაშვებულ საფუძვლებზე და ამ პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებისთვის.

15.2. კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან, კომპანიასთან და მის საქმიანობასთან, უფლებებთან, ვალდებულებებთან ან სხვა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით კითხვის შემთხვევაში, მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმართოს კომპანიას კონტაქტის გამარტივებული ფორმის მეშვეობით მისთვის მოსახერხებელი საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით;

15.3. წესები და პროცესები, რომლებიც განსაზღვრული არ არის წინამდებარე პოლიტიკით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.